

F343  
2000

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
სამეცნიერო ცენტრი

# დედა

№4-5, 2000 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს სასწრაფოდ თავისუფალი:  
ვინ არის, სიღვაძე მოსულა, სად არის, წაუვა სადამ?



რედაქცია უღრმეს მადლობას წირავს სააქციო საზოგადოება ქუთაისის  
პურის მიმღები საწარმოს დირექტორს ბატონ მურაღ შიგვიძაძეს  
და მის კოლექტივს წინამდებარე ნომრის დაფინანსებისათვის.



# ჰეპელი

ტექსტი ზურაბ კუხნიანიძის

ღაჯექ, ღაჯექ, ჰეპელავ,  
მოფრენილო ველიდან,  
ნუთუ არ დაილაღე  
ღღეს ამღვნი ფრენითა.

მისამართი:

ყვაილები ჩემს ბაღში  
ჰყვაის ნაირფრენები,  
შენ გგონია ფრთებს გატკენ  
ღა არ მოგეფრენები.



ნუ გამირბი, ლამაზო,  
ყვაილებზე ქროლიავ...  
ჩემი ტკბილი სიმღერა  
ქარის ხმა ნუ გგონია.

მისამართი:

ღაჯექ, ღაჯექ, ყვაილებს  
სულ რომ თავზე ევლები.  
შენ გგონია ფრთებს

გატკენ

ღა არ მოგეფრენები  
(ორჯერ).

მუსიკა ვასილ კოპელაძის

სელინდ

მომ მომ მომ

ღა ჯად ღა ჯად ჯა ჯა რავ მო გვა ნაჭრა

მომ მომ მომ

შა რი დან ნე ნუ ა ჰეპელი რომ ღე

ღღესა შავა ში უხე ნი ია ყვა ვი რე ში

შეა ბა ღში შეა ვის ნა ის შა ჯ ში

შა ძო ნა ა დუნეკი ყავა ღა ახ შა ძე

შა ჯ ში ღა ახ შა ძე შა ჯ ში

ღა ახ შა ძე შა ჯ ში

6/2025



# თოვლი ბრუნა

მხატვარი  
ნანა სანაია



ცაზე ერთი ღივი ღრუბელი იჯდა. მალე მეორეც მოგორა - პატარა; ღიდ ღრუბელს წინ დაუდგა, კარგად შეათვალიერა, მერე გარშემო შემოურბინა, ბოლოს ისევ წინ დაუდგა და ჰკითხა:

- რა გქვია?

ღიდმა ღრუბელმა ამრეზით შეხედა, ლაპარაკის გუნებაზე არა ბრძანდებოდა და უგემურად წაიჯუჯულუნა:

- ღიდილო...

- ეგ ხომ ყვავილის სახელია?! - გაეცინა პატარა ღრუბელს, - აი, შე ნამდვილი ღრუბლის სახელი მქვია - გრუხუნა.

ერთი ჰკითხა: - შენ თვითონ საიდან?..

გრუხუნამ არ დაუთმო:

- ჯერ შენ მიპასუხე, მე პირველმა გკითხე...

ღიდილოს გული გაუწყვალდა ამდენი ლაპარაკით და... საშინლად იჭკეპა:

- ოკეანიდან, მე - ოკეანიდან; შენ კი, შე პატარა ფეთხუმო, შენ თვითონ საიდან ამოგვიერი?

ღიდილომ რომ იჭკეპა, ადგა და გრუხუნამაც იჭკეპა:

- გუბიდან, გუბიდან... ოღონდ, კი არ ამოგვიერი, ამოქროლდი...

გრუხუნამ რომ თქვა, გუბიდან ამოქროლდი, ღიდილო



- „ნამდვილი ღრუბლის სახელი - გრუხუნა“, - გამოაჯავრა ღიდილომ, - ეგეც სახელია, რა?!

გრუხუნამ უსაცველურა:

- ნეტავ, რას იბღვირები, აბა მუხს შეხედე, როგორ იცინის...

- ეგ სულ იცინის, - წაიჯუჯულუნა ისევ ღიდილომ, - შენ კი თავი დამანებე... გიორჩევნია.

გრუხუნამ თავი არ დანებდა. ადგა, ახლა გვერდით მიუჯდა და ჰკითხა:

- ჰო, მართლა... სულ დამავიწყდა... საიდან ამოქროლდი?

- საიდანაც, - ღიდილომ ზევიდან ზვიადად დახედა და

საშინლად დაიმაჩნა და ზიზღით წაიფურტუნა:

- ფუჰ...

გრუხუნამ გაკვირვებისაგან თვალეზი გვიტყა:


- რა, „ფუჰ“?

- ფუჰ, აბა, რა? გუბიდან ხარ ამომხერადი, - მიახალა უდიერად ღიდილომ. ამას კი აღარ ელოდა გრუხუნა, კოპები შეკრა მზისხანედ და კიდევ იჭკეპა:

- გუბიდან ვარ ამოქროლდი თუ ამომხერადი, ხომ ხედავ, მეც ისეთივე ღრუბელი ვარ, როგორც შენ?!

ორივე წამოხტა, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს, ღამის ცხვირი-ცხვირზე მიადგეს; ძალიან სასაცილოები იყვნენ, საჩხუბრად აქირრილ მამლებს ჰგავდნენ... ჰოდა... ის





იყო, უნდა სცემოდნენ ერთმანეთს, რომ მზემ სხივი-ნემსი გამოსწია, გამოაქანა, ჯერ ერთს უჩხვლიტა გვერდში, მერე – მეორეს. ერთიც შეხტა, მეორეც, – ძალიან ემწევათ. მობრძანდით აქ! – მიიხმო მზემ ღიღილო და გრუხუნა თავისთან, – ახლავე პირი დამბანეთ! – ერთი ლოყა ერთს მიუშვია, მეორე – მეორეს. მზეს ძალიან უყვარს პირის ბანა; საერთოდ, ღრუბლებსაც ძალიან უყვარო, როცა მზეს პირს ჰბანენ; ჰოდა... ღიღილო და გრუხუნაც ხომ ღრუბლები იყვნენ; მზემ რომ მიიხმო, ხელად ჩაცხრნენ, ჩხუბს თავი ანებეს, დაფაცურდნენ; ბანეს და ბანეს მზე, მოლიანად თავ პირზე გადაეგვინენ და ძირს დაეშვენ შხრიალ-შხრიალით, თქრიალ-თქრიალით...

– ხომ ხედავ, აფუჰ! არა ვარ. ასე რომ იყოს, მზე პირს ხომ არ დამბანინებდა?! – მოასწრო თქმა გრუხუნამ და გააღინა კიდეც ტყაპანი ოკეანეში, – პირდაპირ ცხვირით ჩა-

ეშვა წყლის სიღრმეში, მერე ისევ ზევით ამოვარდა, ერთი-ორჯერ ამოტრიალდა და პატარა მხიარულ ტალღად იქცა. ღიღილო?

ღიღილო კი იქვე, ოკეანის მახლობლად, პატარა თხრელში ჩათქარუნდა – ახლა ეს იქცა გუბედ, გრუხუნა კი არა?! ელდა ეცა: – ვაიმე, ახლა გრუხუნამ რომ დამინახოს...არ მინდა, არ მინდა, – ძლივს ამოილულულუა, ძლივს, იმიტომ რომ ღრუბელი აღარ იყო, ძველებურად ექმქა და ეგრეჯინა; საშინლად დასედიანდა, – ახლა მე ვარ აფუჰ!, მე ვარ...

– ვინ გითხრა, აფუჰ! ხარო? – ჩიტები მოფრინდნენ, გუბესთან დასკუბდნენ, ოქროს ნისკარტებით გუბის წყალი დალიეს, – ვინ გითხრა, აფუჰ! ხარო, ჰა? – სვამდნენ წყალს ამ ოქროს ნისკარტებით, თან ეკითხებოდნენ...

არავისაც არ უთქვამს, თვითონ ევონა.



## ბავშვთა შემოქმედება



გიორგი  
შოხოიანი  
10 წლის

– სიდან მოდიხარ, ირემო, სად დანამე სისხლითა? ისარი მოვაქვს კისრითა, მთა გადმოლაზე ნისლითა.

– განა, ბატონო, ერთი მთა, მე გადმოვლაზე ექვსი მთა, დამჭერს კისერში ისრითა თვალი ამივსეს ნისლითა.

## პიესა

სიცოცხლე უნდა მაჩუქო ჩემო ექიმო, მია, მე თქვენი ერთი ღიმილი, ქვეყანას მიჩრეწინა.

შენც გეხვეწები, გოგა, არ დაიშურო ძალა, სტიმულატორი მოვაქვს ჩემი გულისთვის ფარად.

შენაწმინ: პატარა გიორგიმ, რომელსაც გულს როლი ოპერაცია გაუკეთეს, თავის ექიმებს ეს ლექსი უძღვნა. „ღილის“ რედაქცია განმარტულობას უსურვებს ამ ნიღურ ბავს.





# ქოსატყუილა წერს ლექსებს

- ლექსის წერა, ბავშვებო,  
ძალზე მწელი რამ არის,  
რითმა მივლის გარშემო,  
როგორც ლანტი ქამარი.

თუ დავიჭვრ, ხომ კარგი,  
თუ არადა, შორს გარბის.  
მომეშველეთ მეგობარს,  
სამი რითმა შეუოფა.

მინდა ნიჭი შეგიქოთ,  
მოურითმეთ ჩემს სტრიქონს:

- ხარი გვიკლებდა ზმუილით...
- არ გკაბდრება ტყუილი!
- სპილოს აუტრდა ფართქალი...
- არც კვ ახრია მართალი.
- დედოფის შვენიდან საუბრე...
- ახლა კი მართლა ახურებ!

უჭ, უკატრაფადა, შევცდი  
გამართულად რომ ვერ ვთქვი.

- ხარი გვისმობდა ზმუილით...
- ტყუილების გზით ნუ ივლი!
- სპილო გაძვრება ურუმრად...
- თუ დანახა წრუწრუა!
- ფეფოს შვენიდან საუბრე...
- და მინდვრად კრეფდა სამუხრებს!

ა, თქვენთან რაც მოვუვდი,  
გავსდი ნაღდი ზოგტი.



ბავშვან სვანიძე

## მკვინარას ნათქვამი

ცხრათავინ დევს შევები,  
წავაცლეთ თავი ცხრავუ,  
გველქმანაც ავეწუწუ და  
ხორცი ცამდე ავასვავუ.  
ურჩხულს შუბი ისე ვტვორცნე,  
კადველო გქო მთა-ველს.  
ლომი ხელით შევიპუარი,  
ვათამაშე,  
ვაბურთავუ...  
მომეხვივნენ მეგობრები  
გამარჯვებას მილოცავენ...  
უცებ თვალი გავაჭვიტე,  
ვნედავ, თავი ჯირკლე მიღვეს  
და სურცინვი, უთვალავი  
ჭინჭველის ჯარი მიტყვს...  
შემას ახრი არა ჭქონდა,  
გავქმცი, გავურდი!







## საქართველო

ჩემო ქვეყნო,  
 მთის და ვალებისო,  
 ცაო ნათლისო,  
 მიწა, ვახისო,  
 შოთას აზრისო,  
 საბას სიბრძნისო,  
 ვაჟს ლექსისო,  
 ვლენის ზღაპრისო,  
 ხაყუტ ქვეყნისო,  
 ხაყუტ მელდისო...  
 ჩვენი საფიქრლო,  
 ჩვენი საღოცხო,  
 ჯადოსნური ძალა  
 ნეტავი მომცაო,  
 მიწა ავუფავო,  
 ავიბადლო ცაო!



მზე ამოდის შუქთა ფრქვევით,  
 ცისკენ იწვევს ნება-ნება.  
 მზეს ვერაფერს შეადარებ,  
 მზე დედის გულს ედარება.

## მიტომა მიყვარს

### ლალა

ლალა, ლალე, ლალეო,  
 ჩემო ტკბილი მხარეო,  
 ჩემი გულის სინათლეო,  
 სითბო, სიმშურფალეო.  
 ქართული ცის სიწმინდეო,  
 წყაროს სიანკარეო,  
 მეც შეეხარი შენს მთვარეს,  
 ვარსკვლავები ვოფაღეო,  
 თუმცა ჯერ ბატარა ვარ,  
 წყარო წელს ვისწავლეო.  
 შენთვის თავდაბეძულია  
 შეიღებს მიმთვალეო!

საქართველო მიტომ მიყვარს,  
 ჩემი დედულ-მამულია.  
 ამ მიწაზე პაპის პაპის  
 სიამაყით გაუვლია,  
 უთონია, უბრია,  
 ვაზი გაუსარებია,  
 გუთონს კვალში მიპოვლია,  
 რქებდარგნილ სარებიანს,  
 ქვევრი ღვინით აუგსია,  
 პური დაუსვავებია,  
 დედაბოძად შესდგომია  
 ტაძრებს დღესარებიანს,  
 სამშობლოსთვის თავგანწირვა  
 სულ არ დაუსარებია,  
 მომეცა გაუსარებია,  
 მტერი დაუსვავია.  
 საქართველო მიტომ მიყვარს,  
 წინაპრებს რომ მუვარებიათ,  
 დედასვითი გოგონადეთი -  
 ჩვენი დღის დაუსარებიათ.



მ. ლაბია



# ზ ა ბ გ დ ე



ყო და არა ყო რა, ყო ერთი ციქნა ვოგო ცისია. ცისია ცაში ცხოვრობდა მას ძლიან ლამაზი ეცეპა ცისფერი და ოქროსფერი ჰქონდა.

ერთხელ ცისია მოწყენილი იჯდა ღრუბელზე და ოცნებობდა. უცებ შხაპუნა წამოვიდა, მერე ასევე უცებ გადაიკარა და მზის სხივები ცას შეიდგევრ გადაეკრა. ცისიას თვალები გაუცისკროვნდა, ცისარტყელაზე გადასკუპდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, დაბლა ჩამოსრიალდა და ყვავილებით მოჩითულ ბორცვზე აღმოჩნდა.

- სადა ვარ? - იკითხა გაოცებულმა.  
- ღელამიწაზე. - უთხრა მზემ.  
მწვანე მოღზე ათასფერი იყო მობნეული. იქვე მორაკარაკებდა.

ცისიამ პატარა თითები ნაკადულში ჩაყო, პეშვით წყალი ამოიღო და გემრიელად მოსვა.

- დალიე, გოგონა, გაამოს, - დალოცა წყარომ.

ცისია ნაკადულის ნაპირს დაუყვა.

უცებ მისიკენ მომავალი მხარზე კომპალგადებული ბიჭი შენიშნა.

- ვინა ხარ? - ჰკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

- მე ცისია მქვია, - მიუგო დაბნეულმა გოგომ.

ბიჭმა ხელი ჩაჰკიდა და ტბისკენ წაიყვანა.

ტბის პირას ბიჭმა ააკენესა და გოგონასაც ტბილად ჩაეძინა...

გამოღვიძებულმა გოგონამ ტბაში პირი დაიბანა და... მიულოდნელობისგან სახტად დარჩა: ცისფერი კაბის ნაცვლად ძალიან ლამაზი ოქროსფერი ემოსა.

- ეს მზემ მოვიქსოვა თავისი სხივებით, - აუხსნა ბიჭმა.

მაღე ორივე ყვავილებით აფერადებულ მინდორში დარბოდა... ბიჭმა ყვავილების დაწინა და გოგონას თავზე დაადგა.

გოგონამ ტანზე დაიხედა და ისევე განცვიფრდა: ახლა მას ყვავილებით მოჩითული მწვანე ეცეპა...

- ეს მინდვრის საჩუქარია, - ბიჭი ღიმილით მისჩერებოდა. ყვავილების სურნელით გაბრუებულ გოგოს ცა სულ გადააგვიწყებოდა.

მერე ბიჭმა გოგონას მიართვა. გოგონამ დაიმორცხვა, თავი დახარა და კიდევ უფრო გაოცდა - ახლა მას თეთრი ქოქეთა ეცეპა.

- ნამდვილად ზღაპარში ვარ! - თავისთვის ჩაიჩურჩულა გოგონამ.

- არა, ცისია, შენ ახლა სინამდვილეში ხარ!

- უთხრა ბიჭმა და ვარდისფერ ლოყაზე გაუბედავად ეამბორა.



# ნა ხეუბანში?

(ცვალიაფარი თავდაყირა)

მარტვი ვურძენი დამწიფდა,  
განაღდა დიდი რთველი,  
ანრილში დამემ იმატა,  
თრთვილმა დაფარა ველი,  
მიისის ბოლოს მოთავა,  
დადგა ახალი წელი!  
თხილს აკანტუნებს ბაჭია,  
ღვინით დაგვითვრა ბელი!

თეთრი დათვი კანკალებდა,  
ვერ უძლებდა სიცვიებს,  
ინდაური გუბურისკენ  
მიუძღოდა წიწილებს;  
დათვს ჩანთაში შეილი ფხადა;  
კვიცი კვერცხში წიოდა;  
სირაქლემა დალოლაფდა;  
ზღარბს ბაკანში ციოდა;  
უღრან ტყეში, გამთენიან  
მკვლეს გაუჩნდა ცნრა ბელი,  
გზად გამეცნო ფეგვის შვილი,  
აღარ მახსტავს სახელი.

გამრჯე ჩრდილს ფფარებოდა,  
ჩრდილი უძღოდა გუთნის,  
ენაბლუ ენამწეობდა,  
ენამწე იჯდა უბრად,  
გუფლუნვი წუწურაქობდა,  
მუნწმა გამაღა სუფრა.

ნეღლი ბაღას-ბუღასით  
გაჯანაღე ღუმელი,  
საჭანური შუკვანძე  
ნივრითა და სურნელით.  
მოთუსთუსე ღობიოს  
შეფურთე განილი,  
მჭადი კრემით მოფხატე,  
ტორტი ქორფა მწვანელით;  
მარილიან კატელტებს  
ბღის მურაბამ უმეფლა,  
ინდაურის საცვიში  
ამოფავლე ჩურჩხელა;  
კიტრს შაქარი ვუმატე,  
ნაუის შავი ზიღანელი,  
შეფურთე კუპატებს  
ქიშმილი და ტვის თხილი...  
ტელაპის სუფრას ჩახჩახა  
გოგრის ჭავი ანათებს,  
- ვიქეფეფე ამადამ,  
სტუმრებს ველი სანატრელს!





# ახალი თარგმანები

პელენა ბახლაროვა

## ბაყაყის ნაწი

ზის ბაყაყი ფოთლის ნაწიზე,  
მიტოვებებს მშვიდად წაღზე,  
- გვითხარ ნეტაე მისვალ საით,  
შენ ბაყაუო, მწვანე ნაწით?  
შორს მგ საფარობა განვიზრანავს,  
უნინებოდ შორს ვერ წახვალ.  
რადან იხამ, ნეტაე, მაშინ,  
როცა ქარი ფაფარს გაშლის?!



ჯანი

პოლონურიდან თარგმნა  
ჯემალ ჟილიძემ

შოტლანდიური ხალხური სიმღერა



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ფესსაცმელი დაეკარგა  
ჯენის თავის სასლთან,  
ტირილით და ცრემლით  
ვეღარაფერს განდა.  
გზად ჩავლილმა მკწისქვილემ  
ფესსაცმელი ნახა,  
შეურია საფეჯავს  
მასთან ერთად დაფეჯა.

თარგმნა ნარბიჯა მბეღალემ

## ბავშვთა შემოქმედება



## გაზაფხული

გაზაფხულის ბალში  
ამოსულა ია.  
ჰო, რა მშვენიერი,  
ჰო, რა ლამაზია.  
- ჭიკ! ჭიკ! ჭიკ!  
- რაო! რაო! რაო!  
- მინდვრად  
ლილო-ჭრილო  
გაზაფხულაო!



ნათია  
ჯამბურია  
10 წლის

## თამუნა ბოქორია

7 წლის  
თბილისის პირველი  
კლასიკური გიმნაზიის  
მოსწავლე



## შემოდგომა

გადაპენტილა ჩვენი ეზო და  
ნაირ-ნაირ ფრად ბზინავს,  
აბა, შეხედეთ, თვალი მოავლეთ  
ამ გასაოცარ დილას -  
რა ლამაზია ჩვენი სამყარო  
რა ათასფერად ბზინავს.



თამარ  
ბაგრატიონი  
7 წლის



# ქორულიანი ყვერცხები

- ცისფერი, ჭორფლიანი კვერცხები უნდა ჩავაწყო ამ ჩემს ბუდეში, გესმის, მზო! ცისფერი, ჭორფლიანი კვერცხები! იცო, მზო, ჩემმა მამლუჩამ რა მითხრა, - შენისთანა ლამაზ კვერცხებს ქვეყანაზე არც ერთი ჩიტი არ დებსო. ნეტა მართლა? - თავი კეკლუცად გადასწია ყვითელგულამ, შესჭიკჭიკა მზეს, მერე მონატული ფრთები გაშალა, შემოევლო ხეს, ახლად აშენებულ, ჯერ კიდევ ნოტიო ბუდეს, შიგ ჩახტა, სამი ცისფერი კვერცხი დადო და გულდაგულ ზედ მოკალათდა.

მამალი ჩიტი თავს ევლებოდა თითრად ვადაპენტელ მაჟალო ვაშლის ხეს, ყვავილებში ჩაფლულ თავის დედალ ჩიტს და კვერცხებით სავსე ბუდეს. მიფრინავდა და მოფრინავდა, იჭერდა ჭია-ლუას და მოჭქონდა ყვითელგულასთან. დედალი შესჭიკჭიკებდა მამალს, ცალი თვალით ახედავდა და ბარტყვით დაუდებდა პირს. მამალი ფრთხილად ჩამოჯდებოდა ტოტზე და პირში ჩაუდებდა საჭმელს.

იქვე კატა დადიოდა, ჩუმად დააბიჯებდა, მაგრამ ხისკენ არ იფურებოდა. ეს ცბიერი, განზრახ არ აპარებდა მწვანე ნაბია თვალებს ბულისაკენ. მერე როგორ უყვარს კვერცხები და ჩიტის გაბღღვნა ამ მსუნაგს!?

გრძელ, რიკულებიან, ჩრდილებით აჭრელე-ბულ აივანზე გოგობიჭი გამოვიდა. გოგოს თოჯინა მიეკრა გულზე, ძმამ კატა აიყვანა ხელში და განაბულს მიუაღერსა. იქვე ჭიშკართან დიდი, ბომბორა ძაღლი იწვა და დაძმას შეჭყურებდა. დრო და დრო ფუმფულა კულს აიქნევდა, მიწას დასცხებდა, აქაოდა, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართო.

ყოველდღე ამოდირა ვეებტერელა მზე და დანათოდა აყვავებულ ეზოს, ასკილის ღობებს, მაჟალო ვაშლს და ბუდეში ჩამჯდარ ყვითელგულას.

გამთბარ, ცისფერ ჭორფლიან კვერცხებში კი ნელი-ნელ ინატებოდა ყვითელპირა გაწუწული ბარტყები.

გოგობიჭი საათობით უყურებდა ყვითელგულას და, მგონი, გამოელაპარაკნენ კიდევ.

ერთმა მეზობლის ბიჭმა შურდული გააკეთა, მერე ეს შურდული კისერზე ჩამოიკიდა, ჯიბეები კენჭებით აივსო და გავიდა ქუჩაში. მიიხედ- მიიხედა, სამიხნო, დასაზიანებელი ვერაფერი ნახა, ადგა და დაძმის ეზოში შევიდა...







მეორე დღეს ისევ ამოვიდა მზე. ხალისით გადმოდგა, არემარეს გადმოხედა, თვალი ყვითელგულას ბუდისაკენ გაეცქცა. ჩიტი აღარ იჯდა ბუდეში და აღარც მამალი დაჰხაროდა თავზე.

მზემ სხივი სტყორცნა ბუდეს, იქნებ დედა ჩიტი წყალზე გაფრინდა და კვერცხები არ გაცივდნენო. ელოდა მზე, ელოდა, მაგრამ ჩიტები აღარ დაბრუნდნენ. მზეს შურდულიანი ბიჭი მოაგონდა და ყველაფერს მიხვდა. ღრუბლებს ამოფარა და მწარედ ატირდა. ინანა, შურდულიან ბიჭს თვალი როგორ მოვაშორეო.

გოგო-ბიჭსაც დაცარიელებული მოეჩვენა ეზო-კარი. გაოცდნენ, ბუდეში ჩიტები აღარ ყვრდნენ. ბუდე უპატრონოდ იყო მიტოვებული.

გარინებული იდგა მაჟალო ვაშლის ხე. ბიჭი სასწრაფოდ ავიდა ხეზე. ქვემოდან კისერგადაგებული შეჭყურებდა და, იმედს არ კარგავდა, იქნებ ჩვენ ვერ ვხედავთ, ბუდეშია ჩამალული ყვითელგულაო.

მერე ძმამ და ბატარა ხერხზე გაგზავნა. ხეს ტოტი მოახერხა და სამკაპში ჩაშენებული, ცისფერკვერცხებიანი ბუდე შინ წამოიღო. გოგო ხერხით ხელში უკან მოსდევდა და თან უკვირდა, ნეტა რად უნდა ჩემს ძმას ეს ბუდეო.

ბიჭმა ლურსმანი მიაჭვდა კედელზე და ბუდიანი ტოტი ზედ ჩამოჰკიდა. ძმა თითის წვეკრებზე შედგებოდა ხოლმე, კვერცხებისათვის რომ დაეხედა. მაშინ და სკამს აითრევდა, კედელთან მიდგამდა და ისე იჭყიტებოდა კვერცხებიან ბუდეში, თან გული უკედებოდა.

ერთ ღამეს ლურჯი მთებიდან დიდი მთვარე ამოცურდა. გაანათა ეზო, აივანი, ოთახში შეიხედა და გაბადრულმა, გოგო-ბიჭის საწოლებს წინ იატაკი ფარდიდან გადმოსული ყვავილებით მოხატა. ღამის სიომ დაუბერა, ფარდა შეარხია და იატაკზე ყვავილები აცეკვდნენ. ბუდიანი ტოტის ჩრდილი მარჯვენა დაწოლილიყო კედელზე, ისიც დროდადრო ირხეოდა და ყვავილებთან ერთად იწყებდა ცეკვას.

ერთიც ვნახთო, თოფის გავარდნის მსგავსი ბათქი გაისმა. დაფეთებული გოგო-ბიჭი ლოჯინზე წამოხდა.

- „რა იყო?“ - თვალებით შეეკითხა და ძმას.  
- „ნუ გეშინია“, - თვალებითვე ანიშნა ძმამ და იატაკზე გადმოვიდა. ბუდის ქვემოთ, იატაკზე რაღაც ეყარა. ძმამ დაიოქა და ცისფერი, ჭორფლიანი გამჭვირვალე ნაჭუჭების აკრფა დაიწყო. დამ ვარდისფერი, გამხდარი ხელისგული შეუშვია.

სიომ ისევ დაუბერა და შეარხია ფარდა. მთვარის შუქზე როკავდნენ და ყელყვლობდნენ ფარდიდან გადმოსული ყვავილები. ბუდის ჩრდილი თითქოს შეშინებული აკკროდა კედელს. მთვარე დაძნაშვესაით ჩაიმალა ისევ ლურჯ მთებში.





# თბილისის 166-ე სკოლა



დირექტორი

აკაკი  
ელიაშვილი



თბილისის 166-ე საშუალო სკოლა მუსიკის სახელმწიფო ტრადიციებითა და სიახლის ძიებით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, 1998 წელს მას „დედაქალაქის სანიმუშო სკოლის“ სახელი მიენიჭა.

სკოლის უმთავრესი მიზანი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების, ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდაა. აქ ხშირად იმართება ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები. ამ სკოლის მოსწავლეებს მრავალი პრიზი და ჯილდო აქვთ მოპოვებული სხვადასხვა რანგის სპორტულ შეჯიბრებებში.



ამჟერად გაგაცნობთ IV კლასს (ხელმძღვანელი იზოლდა ცინცაძე), რომელმაც გასული სასწავლო წლის დასასრულს შთაბეჭდავად წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“. ბავშვებმა პატივი მიაგეს სამშობლოსათვის თავდადებულთა ნათელ ხსოვნას, ზოტბა შეასხეს მათ ნიჭსა და დეკანოზს და მამულიშვილური ფიციც დადეს.

სადამოს უძღვებოდნენ თათული ბაბილაშვილი და ვასილ თამაზაშვილი. სპექტაკლში ყველა ბავშვი აქტიურად იყო ჩართული, ჩვენც მთელ კლასს წარმოგიდგინთ: ანა ადამია, ნოდარ ბარამიძე, ამირან და ნინო ბერიაშვილები, სალომე გელაშვილი, ნინო გოგორელიანი, თამარ და მარიამ გელარიძეები, ომარ გულუა, ზურაბ გიორგობიანი, ლანა გვანცელაძე, ლევან დარასელია, მაგდა დეკანოზიძე, ვასილ იმნაძე, ანა კალმახელიძე, ქეთევან კახიძე, მარიამ და ვიქტორ კერესელიძეები, ქეთევან კუბლაშვილი, გიორგი ლაფაჩი, გიორგი მალრაძე, ნინო მელაძე, ნინო მღებრიშვილი, ბათუნინუა, გიორგი ნიკოლაიშვილი, შალვა ნიკვაშვილი, ელისო რაზმაძე, თამარ რეხვიაშვილი, ანა სოსელია, ნინო სტრაჟევსკაია, ქეთევან საბაშვილი, სალომე ფაშტანი, მარიამ ფარადაშვილი, გვანცა ფანცულაია, ცისანა ქიზიფურაშვილი, თეა შათირიშვილი, მაკა შულღაძე, ეთუნა ჩხეიძე, ირაკლი ჩივაძე, თინათინ ციქობაძე, ზვიად ჭრიკიშვილი, გვანცა ძნელაძე, ლაშა ჯამბაზიშვილი, გიორგი ჯარიაშვილი.









# მამა ატყვანინძე

ნახატები ავტორისა

სკოლა  
მე-111 გრეკული

## ბუნებისცოდნა

მზეზე თებება ჭრელი გველი,  
არცთუ ისე საშინელი.  
ღამით მიწა იყო სველი —  
გაშეშებული აქვს წელი.

ტყეში ატყდა  
დიდი ღამი:  
ტურას უნდა  
გახდეს ღამი.  
ღამს არ უნდა  
იქცეს ტუჩაქა.  
ღამ იქცევა  
სადიხტურად.

ტირის, ჭოღუქუნებს  
ყურცქვითა.  
— რა მოხდა?!  
— ზღარბმა უჩხვლიტა

ზღარბი ამბობს:  
— ამ ტყეში არ მიცნობენ სრულიად,  
რომ აუჩემებიათ:  
“ზღარბი მარტოსულია!”  
არავინ მეკარება, აქეთ-იქით გარბიან.  
ჰო, იმასაც ამბობენ: „ეკალმწარე ზღარბია!“  
მათთან მიახლოების გზები გადამიკეტეს  
და ჩემს გარდა ვერავინ  
გრძნობს ამ გულის სიკეთეს!

ნერვიულობს ზღარბი,  
მწარედ მტუნის წარბებს:  
— მგონი მცვივა ვკლემი,  
უკვე მიჩანს ნეკნებო.  
დაუყვავა ყვავმა:  
— მესმის შენი ტრავმა.  
ჩაეფიცა კოტოქს,  
— ჭკუა არ გაქვთ კოტო,  
გაზაფხული მოლია...







სანამ კლანქს არ  
გაჰკრავს ძერა,  
მწყერს არ სჯერა  
ბედისწერა.





ქოტი ჰყვება:

— გუშინ ყვავთან  
დავესწარი  
პურმარილს.  
მელა ჰყავდა  
მიწვეული, —  
საპატიო სტუმარი.  
ყვავმა,  
მე აქ ვბინადრობო  
მეორასე წელია!  
— ჰოდა,  
იუბილარი  
გადასანსლა  
მელიამ.




ზის ხის ტოტზე  
ორი ყვავი.  
ერთი მშვიდი,  
ერთიც — ავი.  
ის, რომელიც არის ავი  
არ გაჩერებულა — ჩხავის:  
— ეს რომ მიზის,  
ვითომ მშვიდი,  
არის ეშმაკი და ფლიდი.  
უნდა გამოჩენა თავის,  
როგორც არმჩხავანა ყვავის.



კონფლიქტი აქვს  
სკვინჩას:  
უმცროსი ძმა გლიჯავა  
ისაყუთოზემს ჭკას ჯ  
და თავისთან მიიქვს.


„არჩევიანი რომ მქონოდა,  
ძმად სხვა უნდა ამერჩია,  
მაგრამ რა ვქნა? —  
ჩვენი ძმობა  
ნაღდად მიღირს  
ამ ერთ ჭიად!“

თქვა უმცროსმა სკვინჩამ:  
— მთავარია, ვინ ჭამს!



კუ აასლებს ბინას, თითქმის აღარ სძინავს,  
საქმრო გამოუჩნდა ამ ცოტა ხნის წინათ.   
ელვარებას ჯავშნის შეღამება აქრობს,  
პერი უყვევაშრა... იგვიანებს საქმრო...





ჩვენ, გულადი ხვლიკები,  
მტერს ვვობივართ ხრიკებით,  
გვაქვს სახელი ქებული  
— „კულზეხელადებული!“


ჩვენ, გულადი ხვლიკები,  
მტერს ვვობივართ ხრიკებით:

მაგალითად, მოდის მტერი  
ვერაგი და არცთუ მტერი.  
ცხვირწინ უზის ორი ხვლიკი:  
ერთი — აქეთ,  
ერთიც — იქით.  
სანამ მოიფიქრებს მტერი,  
ვისი შეჭმის არის ჯერი,

არ გვეგონოთ, —  
იცი ხვლიკი,  
როდის მოვა მისი რიგი.

თავდასხმიდან  
გადის წუთი:  
აქეთ — ხვლიკი,  
იქით — კული.  
მტერი ვეღარაფერს იგებს,  
იქერს კულდებს,  
უშვებს ხვლიკებს.  
მეომარი ქებული,  
რჩება გაწვილებული.

ჩვენ, გულადი ხვლიკები,  
მტერს ვვობივართ ხრიკებით.  
ასეთები ვიყავით,  
ასეთები ვიქნებით!



ლამეა და ისე ბნელა  
ტყეში არაფერი არ ჩანს.  
სადღაც დათარეშობს მელა,  
კურღლეღს აუჩქარდა მაჯა.  
ვიდაც კივის,  
ვიდაც ღნავის,  
ჭოტი აკვარკვალებს თვალეზს,  
გამწვარებით ჩხავის ყვავი...  
ინათებღის ნეტავ, მალე...



# ოთარ ხალაგბერიძე დაქობილება

ეური მივდე, ძმაო, წეროვ,  
 ნაღვლიანი რომ ხარ მუდამ -  
 განა უნდა შეიფერო?  
 განა ქედის მოხრა უნდა?  
 ამოდენა ფრთები რომ გაქვს,  
 შემომისვი ზურგზე, წეროვ;  
 მოვიართო ჩვენი მხარე,  
 მთა და ბარი გადავსწვოთ.  
 მივაკითხოთ დაბა-სოფლებს,  
 შევისწავლოთ ყოფა მათიც;  
 სოფლო, როცა მოგვმოვადებს,  
 ლუკმას არვინ დაგვაძადლის.  
 წუაროებთან ჩავიმუხლოთ,  
 შენც სომ გიყვარს წუარო, წეროვ?  
 რასაც ვნახავთ, უყვლაფერი  
 მისხალ-მისხალ ჩამოვწეროთ.  
 დაფლა უნდა ჩვენს ტყე-ჭალებს,  
 ჩსრეკა უნდა მომავლისთვის;  
 ბეჭერი გ'ხა და ბილიკია,-  
 საით მიდის რომ არ ვიცით.  
 მოდი, წეროვ, დავძმობილდეთ,  
 დავიფიცოთ თუგინდ სატყევე;  
 ჩვენს უახლეს ისტორიას,  
 ჩვენ თუ არა, სხვა ვინ აღწერს?  
 წინ გველიანს საოცნებო  
 დღეები და საათები...  
 ამოდენა ფრთებით, წეროვ,  
 მშობელ მხარეს წაადგები.



ბივი ბარბაქაძე

## სპილღო

ჩემი თვალით რაც ვინიღე  
 ზოთაზარქმი, - ამბობს იღლო, -  
 ალბათ უველას გავაკვირვებთ, -  
 ცხვირით ჭამდა საჭმელს სპიღლო.

დიღია და გასაკვირი,  
 დაემოწმა იღლოს თამთა,  
 რომ შეემღლოს ჭამა ჰირით,  
 მთელ ქვეყანას გადაჭამდა.

პანტო ჩხიკვაძე

## უფროსი ძმა

თვერფაღში - ვანიკოს,  
 აზრიღმი კი - ლექსოს,  
 უოველ დაბადების დღეს  
 ზემი ბაქუთ მძებსო.

მეტი ნატურა არა ბაქუთ,  
 როგორც თვითონ თქვესო -  
 უფროსი ძმა, წელს მაინც,  
 იქნებ მოვიღესო.

იქნებ უკვე ვაგონში  
 მოწვენიღლი თვლესო,  
 ჩქარა, მატარებელო,  
 არ დაულამღესო...

სხედან, ელოღვიან,  
 ვანიკო და ლექსო.  
 ვინც მათ მშობას გაზარავს,  
 თვალღც დაუღვესო.



მხატვარი  
აღუარდ ამბოკაძე



# ვინ დახატავს უკელაფერს?



შნატპარამ კობრა აბულაძე

ოთახში მერხზე სოფო კვლავ მარტო იჯდა.

- აქ რას აკეთებ? - ჰკითხა ბავშვს ქეთინო მასწავლებელმა

- რაც უნდა დამეხატა, უკვე ყველაფერი დახატე. ვზივარ და ვფიქრობ, ზვალ და ზეგ რაღა უნდა დავხატო? - მშვიდად იკითხა სოფომ.

- როგორ თუ რა? - მიუგო მასწავლებელმა, - სულ მალე ექსკურსიას ვაწყობთ მამადლაეთის -----. იცი, იქ რამდენ რამეს ნახავ? მთებს, ყვავილებით მოხატულ ველებს...

წლებულს სოფიკო ----- წავა. პატარააო, ვერ იტყვით. თვითონ სოფო-ქალიც ასე თვლის. აღარც ახსოვს, ძუძუსატყუარას როდის დაემშვიდობა.

სოფოს მოწაფეობაზე ხშირად უოცნებია. გაპირ-ველკლასელებამდე უამრავი ----- ისწავლა. ქართულიც და ინგლისურიც, და, რაც მთავარია, ხატვა დაიწყო.

პირველად თავისი ოთახის ფანჯარა დახატა. ----- რაფაზე ყვავილებიანი ქოთნები შემოდგა, ქოთნის გვირგვინზე კი ----- ჩიტი წამოასკუბა.

სულ ციცქნამ მამიკოს დახატვა სცადა. სანაქებო ----- გამოუვიდა; ნახატი ყველას ძალიან მიეწონა.

პირველ ----- რომ მიიყვანეს, სოფო-ქალს უკვე უთვალავი რამ ჰქონდა დახატული. უთვალავი იმიტომ, რომ მაშინ თელა ჯერ მხოლოდ ას ორმოცდაათამდე იცოდა, ----- კი იმდენი ჰქონდა, მის დათვლას ვერ აუდიოდა...

ერთზელაც, გაკვეთილების შემდეგ ----- ფივილ-ნივილით გაცეცვიდნენ ეზოში, -----

ბუნება, ბაჭყაბი, ლეკი, ღაბაყ, ყლასი, სილა, ცაბილი, უჭძაბიცი, ნახაცი, ფანჯარა, მთა, ნახაცი, დიდი.



- მერე რა იქაც ყველაფერი უკვე დახატულია!

- ვინ დახატა?

- ვინ და -----!

- მართალი ხარ. ბუნება მართლაც ----- მხატვარია, მაგრამ დღემდე არც ბუნებაშია ყველაფერი დახატული! იცოდე, ----- მხატვარს ღმერთი დასახატს არასდროს გამოუღვეს...

## ბავშვთა შემოქმედება



### ლურჯა

დაცვარულა მინდორ-ველი.  
არ ბალახობს ლურჯა.  
სევდიანად იფურება  
სიმიინდი თუ უნდა...  
თუკი გაჭმევ სიმიინდს, ლურჯა,  
გამაჭვინ უნდა...

### ანამლა

გზის პირას გნახე, ჩემო ენმელა,  
მაგრამ მოწვევტა შენი მეძნელა.  
ხშირად დავდივარ მე შენთან ახლოს,  
მაგრამ არა მსურს ხელი რომ გახლო.  
შენ გაზაფხული მოგიყვანია,  
რასაც ველოდი დიდი ხანია.



გოზა კეკელიძე  
149-ე სკოლის  
მე-3 კლასის მოსწავლე





# ბატები

# დედის დარიგება

სი-სი, სი-სი, სი-სი-სი,  
 სულ დაუკარგეთ სინდისი...  
 ძველქართულად  
 ღერღუტები  
 აქეთ-იქით ვგეტყვობთ.  
 იწყებითა ვართ ნასუქები,  
 არ მოგვცეს თამასუქები.  
 დავიკარგეს სახელი,  
 ჩავიქნიეთ ფრთა-სელი.  
 სი-სი-სი-სი-სი-სი-სი,  
 დავიკარგავს სინდისი.

დილან და წიწილები  
 საბუდრიდან წამოდგარან.  
 დედა კრუსი დაროგებებს  
 შესხსენებს წარმართა:  
 - აბა, როგორც დავაროგეთ,  
 ფრთხილად, წუნარად იარეთ.  
 მიწას ფეხით რომ მოქექავთ,  
 ფრთებით ვანიაფეთ!  
 ნუ იჩხუბეთ ერთმანეთთან,  
 თავი არ შეირცხვინოთ!  
 ბატარები აღარა ხართ,  
 გაისწორეთ ბიბილო!  
 საკეპს უველგან უხვად ნანაფთ,  
 შორს ნუ წახვალთ ძალიან.  
 იქ ჯიუტი ბეჭეა მოვს,  
 გუბურამი წუალი!  
 სოჯაერ დეხინ მოიძარჯვეთ,  
 თვალიც დაბრიალეთ.  
 აბეხარ ბატს მოერიდეთ,  
 შინ ნუ დაავაიხებთ!  
 არიკებდა, უდიოდა,  
 აქეზებდა, ალხენდა...  
 ესოს სხივი მოსდგომოდან,  
 ესო თვალეებს ასელდა.

## ნაზი თარბამაძე

## სოჭო და კალია

- ოხოფენებზე შემდგარი  
 როგორ დასტინარ კალიაზე?  
 - ჩემი ფეხები ეკ არი,  
 როგორ და... ვოსტად ძალიან.  
 ამ ჩემი ოხოფენებით,  
 თან ჭკუით, თან მოხენებით,  
 ვსტუნავ, დავფრინავ, თუ მინდა  
 მიწასაც არ შევეხები.  
 აბა, შენ, სოჯოვ, ძამია,  
 მთელ დღეს რომ ღლონას უნდები,  
 ერთი თუ ფეხი ავიცდა,  
 უკუდმა ვადებუნდები.  
 წვესარ და სურვსე ტრიალეთ,  
 შემოთ აშეერილ ფეხებით,  
 არ გინატრონ? რომ გქონდეს  
 ჩემსავით ოხოფენები.



ცისანა ბაბრიშვილი

თოვლი დანა მინდორში  
ამოსულა ჭრე  
ზამთრის მილი მოპეზრდა,  
თვალი გაუღ

მიწის მადლმა გაათბო,  
ცას შეჭხარის მუხს  
მოჩუნხუნე ნაკადულს,  
უსმენს მრავალმუნს.


ენძელსაც მორცხვად  
თავი დაუხრ  
ვერბ ბედას თვალში

გაუსწოროს ს.  
მერცხალი მოფრენილა  
ბუდე აუგ  
ბარტყებისთვის ბუდეში  
ჩალა ჩაუგ  
მთის ფერდობზე წვიმას  
ღელე გაუჭრ  
ზამთარს თოვლის საბანი  
სადღაც წაუღ

რა სათაურს მოუძებნით ამ ლექსს?  
დათვალე, რამდენი „ია“ – ლექსში და სწორი პასუხი  
ჩაწერე ყვეაილის შუაგულში.

შეადგინეთ მოთხრობა  
«უჭკურო გოჭაბი»

მხატვარი ელუარდ ამბოკაძე





# ჩვენი ვერხისაჲ



ძმები **ლავა** და **გიორგი ცერცვაძე** ტყუპები არიან, მცხეთის მე-2 საშ. სკოლაში სწავლობენ და მალე ცხრა წლისანი გახდებიან.

ძმები მხატვრობის უნიკალური ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და მხატვარ ციცინო ედიშერაშვილის შემოქმედებით სახელოსნოში ეუფლებიან ხატვა-ფერწერას. პატარები თაბაშირის ორნამენტებს, ცოცხალი მოდელის პორეტრეტებს თუ ფიგურებს საოცარი სიზუსტით ასრულებენ.

ვინ უნყის, რა თვალთ შეხედავენ ისინი თავიანთ გარესამყაროს მომავალში. ჩვენ კი ვუსურვოთ: მუდამ ლამაზი და ამაღლებული ყოფილიყოს იგი.






თქვ მიჯნა

# სახალისო მათემატიკა

აღბათ, არ დაფიქრდები, როცა ერთნიშნა რიცხვიდან ერთნიშნა რიცხვის გამოკლებას მოისურვებ. ვიცით, რომ ადვილად შეძლებ შეასრულო მოქმედება:  $8-3$ . დარწმუნებული ვარ, შენი მსჯელობა დახსოვებით ასეთი იქნება: რადგანაც  $8$ -ს  $3$  უნდა გამოვაკლოთ,  $3$   $8$ -ის ნაწილი იქნება, მაგრამ  $8$   $3$ -ის გარდა  $5$ -საც შეიცავს, უფრო სწორად,  $8$  შედგება  $3$ -ისა და  $5$ -ისაგან. ამის გამო,  $8$ -ს რომ  $3$  გამოვაკლოთ,  $5$  უნდა დარჩეს, ე.ი.  $8-3=5$ .


დაიხ, შენ ხარ მართალი ხარ,

**გამოკლების საფუძველი რიცხვის შედგენილობის ცოდნა.**



**დავალება:** შეასრულე მოქმედება

9-3;	8-6;	7-4;	6-5;	9-5;	8-2;
3-2;	6-4;	5-3;	7-5;	5-1;	9-7.



არის გამოკლების უფრო რთული შემთხვევებიც. რამდენი იქნება  $12-5$ ? როგორც მოვიცქეთ ასეთ შემთხვევაში?



შენ უკვე კარგად იცი, რომ  $12=10+2$ . ე.ი.  $12$   $10$ -ზე  $2$ -ითაა მეტი, ამიტომ რიცხვი  $5$  უნდა დავშალოთ შემადგენელ ნაწილებად ისე, რომ ერთ-ერთი მათგანი იყოს  $2$ . ეს ადვილი საქმეა:  $5=2+3$ . ამის შემდეგ ასე ვმსჯელობთ:  $12$ -ს რომ გამოვაკლოთ  $5$ , ამისათვის საჭიროა  $12$ -ს ჯერ გამოვაკლოთ  $2$ , მივიღებთ  $10$ -ს, შემდეგ  $10$ -ს კიდევ გამოვაკლოთ

დარჩენილი  $3$ . მივიღებთ:  $10-3=7$ .

როგორც ვხედავთ, ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. რა თქმა უნდა, ასეა, რადგანაც აქ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს რიცხვის შედგენილობა, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ხდება რიცხვის შევსება  $10$ -მდე, გახსოვს? ჩვენს მას რიცხვების შეკრებისას ვიყენებდით. ასეთი სახის საგარჯიშოებს რაც უფრო ხშირად ამოხსნი, მით უფრო სწრაფად გაიწაფები ანგარიშში და მეტ შექვებასაც დაიმსახურებ.



**დავალება:** გამოთვალე:

12-3;	14-5;	16-8;	15-7;	17-9;	12-6;
11-6;	12-9;	15-8;	18-9;	15-7;	13-8;



მიღებული პასუხების სისწორის შესამოწმებლად შეგიძლია მიიშველიო მიკროკალკულატორი.





ახლა ყურადღება დაძაბე! მესხიერებაში ერთხელ კიდევ გადაავლე თვალი ყველაფერს, რაც ჩვენ გავიარეთ და რიცხვების შეკრებისა და გამოკლების სამყაროში ერთი დაკვირვება ვანარმოთ.



პო, მართლა, სანამ დაკვირვებაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე საგანს სახელი უნდა დავარქვათ. ეს იმისათვის გვინდა, რომ დაკვირვება გაგვიადვილდეს. მოდი, ეს გზადაგზა გავაკეთოთ! ასე უმჯობესია. დავეწროთ ერთი მაგალითი შეკრებაზე, ვთქვათ  $5+3=8$ . აქ ორი რიცხვია შესაკრები, ორი რიცხვი უნდა შევკრიბოთ. შენ ხედე, რომ სწორედ ამიტომ ჰქვია  $5$ -სა და  $3$ -ს შესაკრებები, ხოლო შედეგად მიღებულ  $8$ -ს ჯამს ეძახიან. ჯამს უწოდებენ არა მარტო  $8$ -ს, არამედ გამოსახულებას  $5+3$ . ნებისმიერი რიცხვი შეკრების შედეგადაა მიღებული, ნებისმიერი რიცხვი შეიძლება ჯამად ჩავთვალოთ, მაგრამ იგი შედეგია და მასში ნაწილები არ ჩანს. ჯამში  $5+3$  აშკარად ჩანს, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება, ორი შესაკრებისაგან. ჯამი  $3+5+2$  სამი შესაკრებისაგან შედგება, სამი ნაწილისაგან. ე.ი. შესაკრები ჯამის ნაწილია.

ავიღოთ ჯამი  $7+2$ . როგორც ხედავ, ეს ჯამი ორ შესაკრებს შეიცავს; იგი რიცხვია, რომელიც შედგება  $7$ -ისა და  $2$ -ისაგან, ან, რაც იგივეა, მისი შედგენილობაა  $7$  და  $2$ . ე.ი. გვაქვს:  $7+2$  ჯამია,  $7$  პირველი შესაკრებია,  $2$  კი მეორე შესაკრები. ხელი დავაფაროთ  $7$ -ს, პირველ შესაკრებს. ცხადია, დაგვრჩება  $2$ , მეორე შესაკრები. თუ ხელს მეორე შესაკრებს დავაფარებთ, პირველი შესაკრები დაგვრჩება.

დარწმუნებული ვართ, ყურადღებით აკვირდებოდი ჩვენს მსჯელობას და რა კარგია, რომ უკვე გამოიტანე ასეთი დასკვნა:  
**ჯამს რომ რომელიმე შესაკრები გამოვაკლოთ, დარჩება მეორე შესაკრები, ან, რაც იგივეა, ნებისმიერი შესაკრები უდრის ჯამს გამოკლებული მეორე შესაკრები.**

ეს - ძალიან კარგი! მაგრამ ჯამი არის არა მარტო  $7+2$ , არამედ, აგრეთვე,  $9$ .  
 ე.ი.  $7+2=9$ ,  $9-7=2$ ,  $9-2=7$ .  
 სამივე ტოლობაში  $9$  არის ჯამი, ხოლო  $7$  და  $2$  შესაკრებებია.

ვიმედოვნებთ, რომ შეამჩნიე დიდებული კანონზომიერება: სამივე ტოლობაში  $9$  არის  $7$ -ისა და  $2$ -ის ჯამი,  $7$  არის  $9$ -ისა და  $2$ -ის სხვაობა,  $2$  არის  $9$ -ისა და  $7$ -ის სხვაობა. ასე იმიტომ არის, რომ  $9$  შედგება  $7$ -ისა და  $2$ -ისაგან, ანუ  $9$ -ის შედგენილობა  $7$  და  $2$ -ია.



მაგრამ გამოკლების ოპერაციაში იმ რიცხვს, რომლიდანაც აკლებენ, **საკლავს** უწოდებენ, იმ რიცხვს, რომელსაც აკლებენ - **მაკლავს**, ხოლო იმ რიცხვს, რომელიც შემდეგში რჩება, **სხვაობას** ეძახიან. ე.ი. საკლები იგივე ჯამი ყოფილა, მაკლები და სხვაობა კი - შესაკრებები.

აი, რატომ არის შეკრება და გამოკლება **პრტიტირებარუნებაული** მოქმედებები.




**დავალება:**

იპოვე X

$X+5=9$ ,	$8+X=10$ ,	$16-X=7$ ,	$X-2=9$
$X+3=7$ ,	$3+X=6$ ,	$15-X=3$ ,	$X-8=7$ .




# თენგიზ ჩალაუში



ჩვენი პატარა მეგობრებო!

თქვენ უკვე კარგად იცით, რომ რედაქცია ყოველთვის ცდილობს რაიმე ახლითა და მნიშვნელოვანით გაგახაროთ... ამჯერად კი გვიწევს მწუხარება გაგიზიაროთ. გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი და თანამშრომელი, მწერალი **თენგიზ ჩალაუში**. იგი წლების მანძილზე მუშაობდა „დილის“ პასუხისმგებელ მდივნად და მთავარ რედაქტორად. თენგიზს ძალიან უყვარდა ბავშვები და თავის სადიდო ნაწარმოებებთან ერთად ხშირად წერდა პატარებისათვის. ალბათ, გახსოვთ, „დილის“ წინა ნომერშიც

დაიბეჭდა მისი მშვენიერი ლექსი და იგაგ-არაკი. თქვენ შეგიძლიათ უფროსების დახმარებით მოიძიოთ მისი საბავშვო მოთხრობების წიგნი „გულჩიტა“ და ლექსების კრებული, მერე კი მის სადიდო ნაწარმოებებსაც სიაშოვნებით წაიკითხავთ. ეს იქნება მწერლის სამარადისო სიცოცხლე, რასაც თავისი ნიჭიერებითა და გულმოდგინებით თენგიზ ჩალაუში უძეგვლად იმსახურებდა.



## გაგუა და უვილიუვილები

ღირსეულად იცხოვრა. სიცოცხლე სიკეთესა და სიყვარულში გალია—ოჯახის, ახლობლების, პატარა გოგო-ბიჭების სიყვარულში, მისი ამაგი და კაცურკაცობა მაგალითად და ზნეობის გაკვეთილად რომ დარჩათ.

...ყველა ბავშვი გამორჩეული სიყვარულით უყვარდა. საფიცარ შვილიშვილებთან ერთად ყველას თანაბრად უნაწილებდა გულის სითბოს და მზრუნველობას. ზესტაფონის ეკლესიის მოძღვარი მამა გრიგოლი ხშირად იხსენებს, როგორ დასტრიალებდა თავს, რა მფარველობას უწევდა იგი ამ ეკლესიის შეფარებულ, ახლობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს.



არჩილ ჭანკამბატაძემ მულად მადლიერებით გაიხსენებენ სოფელ თვრინშიც, სადაც მან მარგველი მიტროპოლიტის მეფუფე კონსტანტინეს ლოცვა-კურთხევითა და თანასოფელელთა თანადგომით აღადგინა და მოახატვინა ჭვართამბაღლების ეკლესია.

ეს ფოტოსურათი ბატონი არჩილის სიცოცხლის ბოლო დღეებშია გადაღებული. იგი სურათზე თავის საყვარელ შვილიშვილებთან — არჩილთან, ლუპასთან და ნინოსთან ერთად არის აღბეჭდილი. ბაბუის ამჭვეჩიური სიცოცხლე მის შვილიშვილებში გრძელდება.



# ბელნიერი ოჯახები - ბელნიერი ქვეყანა

ფსიქოთერაპიის შესახებ უთუოდ ბევრს სმენია, ასევე ბევრი იცნობს ბატონ ბიჭმე მამაშვილს, მართლაც უნიკალურ ფსიქოთერაპევტს, რომელიც წლების მანძილზე ქმნის ამ დარგის ისტორიას ჩვენში... მისი მოღვაწეობის შედეგია ათასობით გამოჯანმრთელებული და გაბედნიე-

ნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ყველა ერთგულად ასრულებს თავის ფუნქციას, გამოირცხვლია აგრესია და კონფლიქტები ოჯახის წევრებს შორის.



ერთი სიტყვით, ოჯახი ოჯახს ემსგავსება.“

გივი მაზმიშვილის ერთ-ერთ პაციენტს შობებქდილებების წიგნში ჩაუწერია: „ბატონ გივის შეუძლია ჩემი ოჯახის მსგავსად მრავალი ოჯახი აავსოს სიკეთითა და ბედნიერებით. ბელნიერი ოჯახების ერთობლიობა სომ ბედნიერი საქართველოს საწინდარია.“

გივი მაზმიშვილის ფსიქოთერაპიულ სეანსებზე უფროსებთან ერთად პატარებიც დადიან. მათი მშობლები საოცარ შედეგებზე საუბრობენ. ბავშვები იკურნებიან ენურეზისგან (უნებლიე შარდვა), ენის ბორძიკის, თვალის უნებლიე ხამხამისა და სხვა უამრავი დაავადებისგან.



რებული ადამიანია. გივი მაზმიშვილი: „ჩემს ფსიქოთერაპიულ სეანსებზე ოჯახის ორი, სამი, ხან ოთხი და ხუთი წევრიც დადის. ხაინტურესო ის არის, რომ გაკურნების შემდეგ



ოჯახის წევრების ურთიერთდაშოკიდებულებაც კი იცვლება, ერთი მეთრის მიმართ უფრო მიმტვევლები და მოსიყვარულეები ხდებიან. ბავშვები სწავლას მეტი შეგ-



# ტომ-მოცილი სამზარეულოში



„დილის“ მკითხველებს სასწრაფოდ მოაშხადეთ წინსაფრები, დანები, თევზები და სამზარეულოს სხვა იარაღი. დღიდან ახალ თამაშს ვიწყებთ და ამ მზარეული შევადგინებთ ადგილი სწორედ სამზარეულო იქნება. თურმე სამზარეულოში ტრიალი სასარგებლოსთან ერთად სასიამოვნო გასართობიც ყოფილა – ეს ჩვენმა ტომ-მოცილმა ნამა აღმოაჩინა. თან გოვინებთან ერთად სათამაშოდ ბიჭვებიც მოიწვია. გაინტერესებთ? მაშ, ნიას მოუხმინეთ:

- ბოლოს და ბოლოს, მიხვდით, რატომ ეზარებათ დღეაქციებს სამზარეულოში ტრიალი – თამაში არ იყინა და იმიტომ. ვერ ხედახან, რომ თამაში და საჭმლის კეთება ერთდროულადაც შეიძლება.

ერთხელ სამზარეულოში შევედი. საჭმლის გასაკეთებლად მივემზადე და რეცეპტების წიგნიც გადავხალე. ყველა საჭმელი ჩვეულებრივი იყო, არაფერიც არ მომეწონა. მაქვიარნა შევიხედე და პირველად ხაჭო და ყველი დავისახე. რა შეიძლება გამოვიღებ?... ვიფიქრე, ვიფიქრე და აი, რა მოვიფიქრე: ყველი თოხკეიხედ ნაჭრებად დავჭერი, ყველა ნაჭერზე ხაჭოსგან გაკეთებულ თაგვი დავასკუპე. მერე ოხრახუმის ღერები მოვძებნე და თაგვებს კუდა და უღვაშები გავუკეთე. ყვრებად ყველის მრგვალი ნაჭრები გამოვიყენე (ბაბა, უყურო წრეწუნა ხად გინახავთ), თვალბების ადგილის პილალის მრგვალი შავი მარცვლები მივამაგრე. მერე, ჩემი ნახელავი თევზზე დავაწყვე და კერძს სახელიც თავისით დავერქვა – „ფისუნების სასუსხავი“.

„აჟრიკელი ნიანგის“ მოსამზადებლად კი ერთი დიდი კიკრი, ბოლოკი და სხვა წერილმანები დამჭირდა. კიკრს ნიანგის ფორმა უნდა მსიკეთე: ცხინი ჩამოათაღეთ და ამ ჩამონათაღისგან ფეხები გამოჭერით, ძეხვის ნაჭრით ენა გავუკეთეთ, თვალბების ადგილას ბოლოკის პაგარა ნაჭრები მიამაგრეთ (არაერთიარ შემთხვევითა არ იხმართო წუთი, ამისთვის მაინუნებ ან ასანთის ღერები გამოვდგება). ვახეილ სგაფულის და ბოლოკის მაინუნებ მოახსით, ხაღათის ფითილებით ვააფორმეთ, მელ ნიანგი დააწვინეთ და მზად არის!

აი, ასე ვაიხსნა „დილის“ რეცეპტების წიგნი, რომელშიც უფორის თევზმდომარე, ტომ-მოცილი ნია თქვენს საუკეთესო გამოვინებებსაც შეიტანს. აბა, ვინ უფრო უჩვეულო, ლამაზ და გემრიელ საჭმელს გააკეთებს. კერძს სახელიც უჩვეულო უნდა ჰქონდეს. ალბათ, ეს ერთადერთი თამაშია, რომლითაც უფროსებსაც ასიაძინებთ.





# შვინიერების და სიცოცხლის რისკზეა მივყავართ მრავალჯერად!

პირველი ადამიანი, ვისთანაც ჩვილს ურთიერთობა უხდება, დედაა - მისი სითბო და სინაზე, გარეგნული სილამაზე, აკურატულობა და წესრიგიანობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებად რჩება შვილის მასხვობაში. არ გვენობთ, რომ ლამაზად მხოლოდ უცხოთა წინაშე უნდა გამოიყურებოდეთ. თქვენი გარეგნული ხილი ყველაზე მეტად შვილს სჭირდება, ნუ მოაკლებთ ამ სიამოვნებას თქვენს პატარას. ჩვენ კი რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.

## ალერგიული რეაქცია სახის კანზე და პრაქტიკული რჩევები, სადაც მკვამის მივმართავთ!

იმ შემთხვევაში, როდესაც სახის კანზე ალერგიულ გამონაყარს შენიშნავთ და მიზეზი ჯერ კიდევ არ იცით, თან არც ექიმისათვის მიმართვას აპირებთ, შეგიძლიათ, ცოტა შეღავათი თქვენვე მისცეთ თავს. პირველ რიგში, გააკეთეთ შედეგად:

1. გაიწმინდეთ კანი მაწონში ან წყლიან არაყანში დასველებული ბამბით.
2. დაიბანეთ სახე თბილი წყლით, უსაპნოდ.
3. გამონაყარზე დაიდეთ გვირილის, ორკბილას ან საღების ნაყენში დასველებული ბამბა. (შზადდება ასე: 2 ჩ.კ. საღები, 1 ჭ. მღვდარე წყალი). მარლა იცვალეთ ყოველ 2-5 წუთში. სულ პროცედურა გააგრძელებთ 10-20 წუთს.
4. სახე შეიმშრალეთ რბილი პირსახოცით, ბოლოს, კანის დასამშვიდებლად, იზნარეთ ბავშვის პულრა ან კარტოფილის ფეკვილი. პროცედურა ჩაატარეთ ნელა, კანი არ გაიღიზიანოთ.  
უნდა გასსოვდეთ, რომ სამკურნალო მიზნით სხვადასხვა კრემის გამოყენება ექიმის კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება.  
ხანგრძლივი ძილი, სუფთა ჰაერი, ნორმალური კვება; მენიუდან ამოიღეთ ცხარე საკვები და სპირტიანი სასმელები - ეს ყველაფერი საკმარისია, რომ სახის კანი მალე გამოჯანმრთელდეს.



## როგორი ფეხლით დავიბანათ!

შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ წყლის ტემპერატურა და შემადგენლობა კანზე მოქმედებს. ზოგჯერ წყალი მეტი რაოდენობით შეიცავს მარილებს, მაგნიუმს და ეს საზიანოა არა მარტო სახის, არამედ ხელის კანისთვისაც. კანი შრება და ზიანდება. ასეთ შემთხვევაში წყლით დაბანაზე უარი თქვით და სახე გაიწმინდეთ სპეციალური ლოსიონით. დილით, ქუჩაში გასვლამდე 30-40 წუთით ადრე, რეკომენდებულია ცხიმოვანი კრემების წასმა, რაც კანს ელასტიკურობას დაუბრუნებს. დაბანისას დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის ტემპერატურას. რეგულარულად ცივი წყლით დაბანა, განსაკუთრებით სიცხეში, ვნებს კანს და ამცირებს სისხლის მომარაგებას. ცხელი წყლით დაბანა კანის ზედაპირულ კაპილარებს აფართოებს, კანის კედლებს კი ასუსტებს და ელასტიკურობას უკარგავს.

რეკომენდებულია დაბანა ოთახის ტემპერატურის, წვიმის ან თოვლის წყლით. ზოგჯერ კარგია გადაღულებული წყალი სილით.

## როგელ დღეს რა ჩაიცვათ!

- ორშაბათი - მივარის დღეა და სასურველია თეთრი სამოსის ჩაცმა.
- სამშაბათი - მარის დღეა, მაშასადამე წითელი უნდა მოვიხდინოთ.
- ოთხშაბათი - მერკურისაა, ჩაიცვით კრელი ან ნაცრისფერი.
- ხუთშაბათი - ნებტუნის დღეა და ცისფერი ტანსაცმელი აძლიანობთ.
- პარასკევი - ვენერას დღეა, ვარდისფერი ან მწვანე დავამშვენებთ.
- შაბათი - სატურნისაა, შავ-თეთრ ტანსაცმელში უნდა გამოვიწყოთ.
- კვირა - შვის დღეა და, ცხადაა, წითელი ფერი მოვიხდებათ.





# კოლეჯი პირველის რიგს!



ელენე ბელთაძე, სანდრო ბენდელიანი, გაბა და ნანუკა ბერაძეები, თაკო ბექაური, თეონა გეგეშიძე, გიორგი გუჯუჯიანი, ნატალი დევოზაშვილი, მარიამ ინდაშვილი, დითუნა კუკულიძე, მარიამ კურდულაშვილი, სანდრო ლალიაშვილი, მიშიკო და დათო ლასარეიშვილები, მეგი ბაღრაძე, გვანცა მდინარაძე, გიორგი მეგრულიშვილი, შოთიკო მეგულაშვილი, ნიკუშა ობოლაშვილი, სანდრო ოსაძე, ციცია და კახი როსტიაშვილები, თამუნეიკო რუხაძე, გიორგი ქურდაშვილი, ნინი ლორთქიშვილი, რუსუდან ჩეჩელაშვილი, ლექსო და ვანიკო ჩხევიძეები, თეკა ნონორია, ინგა ხომერიკი, მარიამ ხორბალაძე, თორნიკე ჯანგულაშვილი, გიორგი ჯორბენაძე

## კატეჯასლ გავსავას!

პირველად საქართველოში



ვიდეოსტუდია „ალეგანტი“ გთავაზობთ უცხოურ მულტიმედიაციურ ფილმებს ქართულ ენაზე, ლიტერატურული კასეტებით, ასევე ფილმებს თრეინინგის ენაზე (ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ა.შ.).  
**დამატებითი ინფორმაციისთვის  
 დარეკეთ: 93-56-15.**



მთავარი რედაქტორი დოქტორი **ვიზვიანა**

სარედაქციო საბჭო: **ლევან ბაბუხაძე, გიორგი როინაშვილი, ნანი კაკაჩია, მარია კვაჭანტირაძე, თამარ ნინიაშვილი, შარდონი კალაღანი**  
 ყდაზე ნახატი: **მალხაზ კახიანი**  
 მისამართი: **თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30 ვამოდის 1904 წლიდან**  
**ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი** **ხელმომწერთათვის 2 ლარი**